

# სახლი სარსბსუელი

390 (21) 12 ნოემბერი, 2018 წ.

## საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ორ დეკემბრამდე გაიმართება

28 ოქტომბერს ქვეყნის მასშტაბით საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. მოსახლეობა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს ირჩევდა. საქართველოს კანონმდებლობით, გამარჯვებისათვის კანდიდატმა ხმათა ნახევარზე მეტი უნდა მიიღოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული კანდიდატი ვერ გამოვლინდა და მეორე ტური გაიმართება. მასში მონაწილეობას ის ორი კანდიდატი მიიღებს, რომელთაც პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს 17 ნოემბრისთვის გამოაცხადებს და მეორე ტური ორ დეკემბრამდე გაიმართება.

ამჯერად ამომრჩევლებს გადანაცვლების მიღება დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილსა (N48) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს (N5) შორის, მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ, კანონმდებლობის თანახმად, მიმდინარე წელს პრეზიდენტს მოსახლეობა პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩევს. 2023 წლიდან კი შემდეგი პრეზი-



დენტი პროპორციული სისტემით არჩეულმა პარლამენტმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა აირჩიონ. არჩევნებმა ხარაგაულში მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 19 630 ამომრჩევლიდან 11 854 გამოცხადდა, რაც მოსახლეობის 60,39%-ს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, N48 საარჩევნო ოლქში, ამომრჩეველთა გადანაცვლებით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

N1 მიხეილ ანთაძე - „მოდრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ - 8 ხმა (0,07%);  
N2 დავით ბაქრაძე - „ვეროპული საქარ-

თველო“ - 1 585 ხმა (13, 58%);  
N4 ვახტანგ გაბუნია - „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“ - 14 ხმა (0,12%);  
N5 გრიგოლ ვაშაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 3 606 ხმა (30, 89%);  
N10 შალვა ნათელაშვილი - „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - 298 ხმა (2,55);  
N13 ზვიად მხატვრული - „საქართველოს ქრისტიან - კონსერვატიული პარტია“ - 3 ხმა (0,03%);  
N17 გიორგი ლილუაშვილი - პარტია „საქართველო“ - 3 ხმა (0,03%);  
N18 აკაკი ასათიანი - „ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირი“ - 6 ხმა (0,05%);  
N21 კახა კუკავა - „თავისუფალი საქართველო“ - 98 ხმა (0,84%);  
N22 ოთარ მეუნარგია - „მრევლობა გადაარჩენს საქართველოს“ - 4 ხმა (0,03%);  
N25 დავით უსუფაშვილი - „შენების მოძრაობა“ - 220 ხმა (1,88%);  
N27 ზვიად ბაღდავაძე - „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ - 46ხმა(0,39%);  
N28 მიხეილ სალუაშვილი - „სამართლიანობის აღდგენის კავშირი“ - 24 ხმა (0,21%);

N30 ზვიად იაშვილი - „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ - 4 ხმა (0,03%);  
N31 თამარ ცხორაგაული - „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ - 32 ხმა (0,27%);  
N35 გელა ხუციშვილი - „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ - 3 ხმა (0,03%);  
N36 ზურაბ ჯაფარიძე - „გირჩი“ - 51 ხმა (0,44%);  
N40 ლევან ჩხეიძე - „ახალი ქრისტიან - დემოკრატები“ - 31 ხმა (0,27%);  
N48 სალომე ზურაბიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი - 5 551 ხმა (47, 56%);  
N49 ბესარიონ თედიაშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი - 18 ხმა (0,15%);  
N51 გიორგი ანდრიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი - 42 ხმა (0, 36%);  
N58 კახაბერ ჭიჭინაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი - 8 ხმა (0,07%);  
N62 ვლადიმერ ნონიკაშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი - 0 ხმა (0%);  
N65 თეიმურაზ შაშიაშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი - 55 ხმა (0,47%).

თამარ მაღრაძე

## მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან უახლოეს კავშირში



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში ბევრი სასიკეთო ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სოფლებში მისასვლელი ცენტრალური გზების მოპეტიონება, ხიდბოგორების რეაბილიტაცია, სასამართლო წყლის სისტემების მოწესრიგება.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურაძე აქტიურად ხვდება მოსახლეობას პრობლემების გასაცნობად. ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში უკმაყოფილებას

გამოთქვამენ სარკინგო მაგისტრალის მშენებლობით გამოწვეული პრობლემების გამო. ჩიტაძეების უბნის მცხოვრებლები თვლიან, რომ ჩინური კომპანია, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ მშენებლობას, არ იცავს უსაფრთხოების წესებს, ხშირია ქვების ჩამოცვენა, რაც საფრთხეს უქმნის სოფელს. დაზარალებული ოჯახები ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. მუნიციპალიტეტის მერმა დაპირება მისცა მოქალაქეებს, რომ უახლოეს პერიოდში სამხარაულის ექსპერტის ეროვნული ბიურო შეისწავლის სოფელში არსებულ მდგომარეობას და ხელისუფლება დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს, რომ სოფელს საფრთხე აღარ შეეცმნას.

მუნიციპალიტეტის მერმა შეხვედრა გამართა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მოსახლეობა სამანქანო ხიდის გაშენებას ითხოვს. მერი პრობლემებს გაეცნო და გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს უპასუხა სოფელ უბისაშიც. ნიკოლოზ თოფურაძემ - მათ განუმარტა, რომ დინობოლორის უბანში გზის 1 კილომეტრიანი მონაკვეთის პროექტი შესყიდულია და სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერია გამოცხადებული.

## სოციალური დახმარება უზრუნველყოფს მოსახლეობას

2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამა - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ღონისძიებებს დაფარავს. მთავრობის განცხადებით, ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ბავშვებისა და ბავშვების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, სადაც 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ და მათი სარეგისტრაციო ქულა 100 000-ს არ აღემატება, ამჟამად არსებული 10-ლარიანი დახმარების ნაცვლად ყოველთვიურ 50- ლარიან დანამატს მიიღებენ. 20 ლარი იქნება ფულადი ბენეფიტი, ხოლო 30 ლარი - კვების ვაუჩერი.

სიახლეა ასევე სოციალური დახმარების მიღება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ოფიციალურ შემოსავალს იღებენ. მუშაობის დაწყების შემთხვევაში სოციალური დახმარების მიღება მოქალაქეები ფულადი დახმარებით ერთი წლის განმავლობაში ისარგებლებენ. მეორე წელს შეუნარჩუნდებათ არაფულადი ტიპის დახმარებები, როგორც:

- სხვადასხვა ტიპის ვაუჩერები;
- ჯანდაცვის გაფართოებული სერვისები;
- სხვა სახის შეღავათები.

## სარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ საბავშვო კლასი

2018- 2019 სასწავლო წლის განმავლობაში ინტელექტუალური „ეტალონი“ ტრადიციულად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის „ეტალონებს“ გამოავლენს. კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპის შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 73 მოსწავლე გახდა გამარჯვებული. ჩემპიონატის მეორე ეტაპი 6 ნოემბერს ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართა, რომელმაც ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ გამოავლინა. ღონისძიების დასაწყისში პროექტის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყემელაშვილმა მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებს, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატსა და სკოლის დირექტორებს. ამავე დღეს, 2017-2018 სასწავლო წლის ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლეს“ ლიზა ბარბაქაძეს, სკოლის დირექტორს ნარმონი ჩინიათს ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა, სკოლას კი - დიპლომი „ეტალონი მოსწავლის“ აღზრდისთვის.

დაძაბული და საინტერესო ინტელექტუალური შეჯიბრის შედეგად 2018-2019 სასწავლო წლის ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლე საბა ებანოიძე გახდა. მეორე ადგილი ნილად ხვდა ზვარის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე თეიმურაზ მაღლაკელიძე, ხოლო მესამე ადგილი ბორითის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე სალომე რიკაძემ დაიკავა. საბავშვო კლასში ეროვნულ ინტელექტუალური ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 2019 წლის ივნისში საქართველოს დედაქალაქში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ



თოფურაძის, ინიციატივით, პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეებს ფულადი ჯილდო გადაეცემა. ამის შესახებ ღონისძიებაზე საზოგადოებას ინფორმაცია მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, გააცნო. მან ასევე ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვისთვის, მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორს, გოჩა ტყემელაშვილს, და აქვე აღნიშნა, რომ ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლეს“ - 800 ლარი, მეორე ადგილის მფლობელს - 600 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასულს - 500 ლარი გადაეცემა.

გამარჯვებულ მოსწავლეებს დიპლომები გადასცეს და წარმატებები უსურვეს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ. როგორც ქალბატონმა მარინემ აღნიშნა, „ეტალონი“ მნიშვნელოვანი პროექტია,

რომელსაც მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში სიხარულით ელოდებიან.

შეგახსენებთ, რომ 2018-2019 სასწავლო წლის ინტელექტუალური ჩემპიონატ „ეტალონის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალქულიანი მოსწავლეები (თანაბარქულიანი მონაწილეთა შორის პრიორიტეტი მიენიჭა იმ მოსწავლეს, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში დააფიქსირა სწორი პასუხი) არიან:

ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ - საბა ებანოიძე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეათე კლასი, 76 ქულა;  
თეიმურაზ მაღლაკელიძე - ზვარის საჯარო სკოლა, მეცხრე კლასი, 70 ქულა;  
სალომე რიკაძე - ბორითის საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი, 69 ქულა;  
ნინო შევლიძე - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, მეთერთმეტე კლასი, 69 ქულა;  
დიანა ლომსაძე - ლამის საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი, 69 ქულა;  
მარიამ მანჯავიძე - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, მეათე კლასი, 69 ქულა;  
ცოტნე თიკანაშვილი - ზვარის საჯარო სკოლა, მეცხრე კლასი, 67 ქულა;  
ნანუკა ნინიაშვილი - ბორის საჯარო სკოლა, მეცხრე კლასი, 67 ქულა;  
ნიკა ძიძიგური - ლამის საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი, 64 ქულა.

ლელა გუგულაშვილი

# ბევრი უნდა ვიშრომით, რომ უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვროთ...



კიცხის ადმინისტრაციული ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტში იმ ადმინისტრაციულ ერთეულთა შორისაა, რომელიც გამოირჩევა თავისი სიღამაზით, გამრჯე გლეხკაცის ხელით მოწეული სხვაობით, ბარაქითა და შეუდარებელი სტუმარმასპინძლობით...

5 წელია, რაც მერის წარმომადგენელი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში გია ჩხიკვაძე გახლავთ, რომელიც პირადად გვესაუბრება, თუ რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში კიცხში და რა იგეგმება სამომავლოდ.

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. 2007 წელს მოსახლეობის შემონარჩუნლებით დაიწყო და 2014 წელს დასრულდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომლის ეზოს მოწყობა და გალავნის გაკეთება მერიის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა. 2014 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიცხისა და ხიდრის დამაკავშირებელ

1,5 კმ-იან გზას, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. ამავე წელს აშენდა სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულება, რომელიც 25 ბავშვზეა გათვლილი და ხუთი ადგილობრივი დასაქმდა. ძალიან კარგი მდგომარეობაა დღეს ბორის სკოლა-პანსიონში, რომელსაც სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. აქვე ფუნქციონირებს „დღის ცენტრი“, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს კვალიფიციური სპეციალური ემსახურება. 2016 წელს დასრულდა კიცხის საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა, რომლითაც ათი სოფლის მოსახლეობა სარგებლობს. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ 100 - მდე სხვადასხვა სახის მომსახურება ერთ სივრცეში მიიღონ. არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ (ხელმძღვანელი ხათუნა მანჯავიძე) ინიციატივით, სოფელ კიცხსა და საქართველოში ძველი ნაგავსაყრელის ტერიტორიები დასუფთავდა და იმ ადგილებზე ძალიან ლამაზი სკვერები გაკეთდა.

საინტერესო პროექტია „ანარმოე საქართველოში“, რომელიც კიცხის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული. სამმა მოქალაქემ მოიპოვა დაფინანსება. შმაგი ავალიშვილმა პროექტის ფარგლებში საოჯახო მარანი მოაწყო, დავით ვაგოშიძემ ჩირის საშრობი გააკეთა, ჰამლეტ ბერაძემ კი - ღვინის მარანი „მღვინეობა-კიცხი“, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, აქ ჩამოსხმული ციკვა-ცოლიკაური ამერიკის ბაზარზე გაიტანოს.

2017 წელს მოხდინდა კიცხის მდინარაქებისა და პირველი უბნის 2 -კმ-იანი გზა, ასევე ბეტონის საფარი დაიგო საქართველოს ცენტრალური გზის 1.100 -კმ-იან მონაკვეთზე. წელს დასრულდა ბორში ცენტრალური გზის 2 -კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. შეკეთდა კიცხში ორი უბნის - მდინარაქებისა და პირველი უბნის - დამაკავშირებელი ხიდი. გასულ წლებში „სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში წყლის ძველი 2 -კმ-იანი მაგისტრალი შეიცვალა ახლით, გაკეთდა ჭაბურღილი. ასევე ჭაბურღილი გაკეთდა სოფელ ბორში, ნიქაბაძეების უბანში, რომლითაც შვიდი ისეთი ოჯახი სარგებლობს, სასმელი წყალი რომ არასდროს ჰქონიათ. ეს პრობლემა ძირითადად აგვისტოდან დეკემბრამდე წყლის დებეტის ნაკლებობითაა გამოწვეული. ცვდილობთ, მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად მოვიძიოთ სარეზერვუო წყალი.

**- პრობლემებზე საუბარი უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რა ან უნებს დღეს ადგილობრივ მოსახლეობას?**

- პრობლემები, როგორც ყველგან, ჩვენთანაც არის... სასწრაფოაა გადასაჭრელი კიცხის საჯარო სკოლის შენობის საკითხი, რომელიც რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება და ველოდებით გადაწყვეტილებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ახალი შენობის აგების შესახებ. მოვიძიეთ ალტერნატიული ფართი, სადაც მოშობლებთან და შედაგობებთან შეთანხმებით მოხდება სასწავლო პროცესის გაგრძელება.

ასევე შესაკეთებელია სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები და ძველი მაგისტრალი, რომლის შესახებაც განაცხადი გავაკეთეთ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში და ველოდებით მათი მხრიდან დახმარებას. ძირითადი პრობლემები, რის გამოც მოგვმართავენ მოქალაქეები, უმუშევრობა და სოციალური ფონია. ვფიქრობ, ხშირ შემთხვევაში არასწორად ენიშნებათ და ეხსნებათ ფულადი დახმარება. არიან ადამიანები, რომლებსაც არანაირი შემოსავალი არ აქვთ და სოციალური დახმარებითაც ვერ სარგებლობენ. რა თქმა უნდა, ჩვენ მათ უყურადღებოდ არ ვტოვებთ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, მაგრამ ეს მათ მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს. კარგი იქნება, თუ მომავალში სახელმწიფო ამ მიმართულებით ცვლილებებს განახორციელებს.

**- რა სიახლეებს ჰპირდებით კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას და რას უსურვებთ მათ?**

- მუდმივად ვუსმენთ მოქალაქეებს და ცვდილობთ მათ დახმარებას. ყველანაირად გვერდით გვიდგას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება. მაღლობა მინდა, გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ზრუნავს, სოფელის უფრო მეტად გაძლიერებასა და განვითარებისთვის. მნიშვნელოვანი მაინც, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. ეტაპობრივად კეთდება ცენტრალური გზები, დიდი ყურადღება ექცევა შიდა საუბნო გზებსაც. უახლოეს პერიოდში მოხდება სოფელ საქართველოსა და იგორეთის დამაკავშირებელი 1.5 -კმ-იანი მონაკვეთი, ასევე, სოფელ თეთრანყაროში სკოლამდე მისასვლელი 2-კმ-იანი გზა, რომლის ტენდერიც გამოცხადდა და გამარჯვებული შემსრულებელი კომპანიაც გამოვლინდა. 2019 წელს ბეტონის საფარი დაიგება თეთრანყაროში გიორგიძეების უბანში გზის 2,5- კმ-იან მონაკვეთზე. ძალიან დიდი სიხარულით ველოდებით გაზიფიცირებას კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში. სოფელი თეთრანყარო უკვე გაზიფიცირდა. რამდენიმე დღის წინ გაზის კომპანიის წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობას შეხვდნენ და უახლოეს პერიოდში აქ გაზიფიცირების საკითხის მოგვარებას დაჰპირდნენ. ეს საკმაოდ კარგი და წინ გადადგმული ნაბიჯია ამ ზონის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩემი ერთ-ერთი მთავარი სურვილი ახალგაზრდების სოფელში დაბრუნებაა. მომავალმა თაობამ უნდა ვიზრუნოთ და ვიშრომოთ, რათა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ. თითოეულ მოქალაქეს ვუსურვებ, ჯანმრთელობა, გამძლეობა და მომავლის რწმენა ჰქონდეთ მუდამ.

ლელა ბუბულაშვილი

## უახლოეს პერიოდში სარგავულის ორი სოფელი გაიფიცირება



„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ წარმომადგენლებმა და ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილე არჩილ მალრაძემ სოფელ საქართველოსა და ფარცხნალის მოსახლეობას გაზიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები ადგილზე გააცნეს. ამ დროისათვის საინჟინრო - ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი აღნიშნულ სოფლებში წინასაპროექტო კვლევებს აწარმოებს. პროექტის შესყიდვის მიზნით, ტენდერი 2019 წლის გაზაფხულზე გამოცხადდება და იმავე წელს დაიწყება გაზიფიცირების სამუშაოები. სატენდერო პირობებში განსაზღვრულია ადგილობრივი მუშახელის დასაქმება და სოფლებში არსებული ტექნიკის გამოყენება, შესაბამისი ანაზღაურებით.

„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ წარმომადგენლის, გიორგი დემეტრაშვილის, ინფორმაციით, საქართველოს მთავრობისა და ეკონომიკის სამინისტროს დაავლებით, საქართველოს სოფლების გაზიფიცირება 2019 წლიდან აქტიურ ფაზაში შევა.

## ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში დაგეგმვაზე შეხვედრა

5 ნოემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ წარმოადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ცხრა თვის განმავლობაში დახმარება 1801 ბენეფიციარს გაენია, რომლის საერთო ღირებულება 434 800 ლარს შეადგენს. ნანა კიკნაძემ ვრცლად ისაუბრა ასევე „სათხოვრის სახლის“ მომსახურებაზე და აღნიშნა, რომ უფასო სასადილოში ამჟამად 73 ბენეფიციარია, რომელთა რიცხვში სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოზულები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები არიან.

აღნიშნულმა საკითხმა დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უმრავლესობის წევრი ჯამბულ გამცემლიძე დაინტერესდა, მომავალი წლისათვის მერიამ შეიმუშავა თუ არა გეგმა ერთჯერად ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით. დეპუტატმა აქვე განაცხადა, თუ შემოსენებული პროგრამისათვის თანხა ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული, იგი ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს.

## ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგი განხორციელდა



ხარაგაულის მერი სისტემატურად ახორციელებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს. მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დეისში, ნიკოლოზ თოფურიძე ადგილზე გაეცნო ცენტრალური გზის 2,5 კმ-იანი მონაკვეთის მოხერხების სამუშაოს, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 536 940 ლარით დაფინანსდა. პროექტი ითვალისწინებს ასევე სანიღვრე არხებისა და წყალამრიდების მოწყობას. გარდა ამისა, რამდენიმე ხნის წინ გაფორმდა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის მერიასა და მშენებელ კომპანია შორის, რომლის თანახმაც ლამის იგორეთში 2,5 კმ-იან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება. პროექტის ღირებულება 234 500 ლარია და მას რეგიონული განვითარების ფონდი დააფინანსებს.



გზის დამცავი გაბიონები მოეწყო სოფელ ვერტყვიჭალაში, ბლიაძეების უბანში. გზის რეაბილიტაცია დასრულდა საქსრაში, რკინის ხიდის უბანში, სადაც ბეტონის საფარი გზის 1500-მეტრიან მონაკვეთზე დაიგო და სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 177 253 ლარით დაფინანსდა. სტიქიის ფონდიდან დაფინანსდა სოფელ ვახანში დამენყრილი გზის დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს ასევე ბეტონის საფარის დაგებას 100 -მეტრიან მონაკვეთზე, რომლის ღირებულება საერთო ჯამში 114 000 ლარია. აქტიურად მიმდინარეობს ასევე გრიგალათში, მდინარე რიკოთულაზე, ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა, რომელიც სტიქიის ფონდიდან 33 867 ლარით დაფინანსდა. მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულება გააფორმა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, რომლის სამუშაოებიც უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მყოფ პირებზე. „ერთჯერადი დახმარებების პროგრამა მიმდინარე წლის ბიუჯეტშიც იყო ასახული, თუმცა სამედიცინო მომსახურებებზე მოქალაქეთა მხრიდან მაღალი მომართვიანობის გამო, ერთჯერადი დახმარებები მხოლოდ შვიდ ბენეფიციარზე გაიცა, რომელზეც 900 ლარი გაიხარჯა.“

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, თქმით, სამსახური პირნათლად ასრულებს დაკისრებულ უფლებამოსილებებს, თუმცა სათანადო ხელშეწყობა არ აქვთ იმისა, რომ მათი მუშაობა უფრო ეფექტური იყოს. აქედან გამომდინარე, ვარლამ ჭიპაშვილმა სამსახურის ანგარიში უარყოფითად შეაფასა. შეფასების განკარგულება უფრო შეიკავებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

საბოლოოდ, ხმათა უმრავლესობით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა. **თამარ მალრაძე**

ბახტრიონის ციხე „უსისხლოდ“ ავიკეთ...

ბარდასულ დღეთა ეპო...

ვერ კიდევ ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებობდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, როცა მისი დამფუძნებელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე უნიჭიერესი ქართველი მწერლისა და დიდი პატრიოტის, გურამ რჩეულიშვილის, ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საავტორო სპექტაკლით - „ზღვამ დაგვანახა მისი სიმაღლე“ - წარდგა მაყურებელთა წინაშე ხარაგაულის კინოთეატრის სცენაზე. ძნელია, სრულად დაასახელო ქართული საზოგადოების ის ცნობილი ადამიანები, გურამის ოჯახის წევრები, ახლობლები, რომლებიც დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ესწრებოდნენ აღნიშნულ სპექტაკლს და, მსახიობის უზადო ნიჭით მოხიბლულნი, აღტაცებით გამოხატავდნენ სამადლობელს.

მასწავს, გურამ რჩეულიშვილის დამ, ქალბატონმა მარინე რჩეულიშვილმა, მაღლობა მთელ ხარაგაულს გადაუხადა: „გურამის სსოვნის საღამო ბევრგან გამართულა, მაგრამ მსგავსი, რაც ხარაგაულში ვიხილე, არსად მინახავს...“

მას შემდეგ გაიზარდა, გაძლიერდა, საინტერესო რეპერტუარი გამდიდრდა და დამოუკიდებელი სტატუსი შეიძინა თეატრმა, მოიარა თითქმის სრულიად საქართველო, ისრაელსაც ეწვია, მაგრამ მის შესაქმნელს აქამდე ოცნებად ჰქონდა, რომ აღნიშნული სპექტაკლი კახეთში, რჩეულიშვილთა სამკვიდრო კუთხეში, გაემართა. მან ინტერნეტში განათავსა თხოვნა, რომ კახეთიდან გამოხმაურებოდნენ ამ სურვილის აღსასრულებლად. ნამდვილად მოულოდნელი იყო, რომ კახელებს იმერულმა, ხარაგაულმა ერთი ცნობილი ოჯახის შვილმა, ჭემმარიტად კარგმა ქართველმა, ბატარ დევედარიანმა, დაასწრო და იზას დაუკავშირდა: „ახმეტაში, ალვანში, ბახტრიონის ციხის ძირას, მაქვს მამული, მეურნეობა და სახლი. ვთავაზობთ, ჩემს ეზოში, ჩემი სახლის აივანზე გამართოთ სპექტაკლი, ჩვენს სურვილთა თანხვედრის შემთხვევაში...“

უკეთეს შემთავაზებას ვერც ვინატრებდი, - ამბობს ქალბატონი იზა.

\*\*\*

სწორედ ახმეტაში, ალვანში, გადავიდა რამდენიმე წლით საცხოვრებლად ოჯახთან ერთად მეცნიერული კვლევებისათვის გურამის მამა, მიხეილ დიმიტრის ძე რჩეულიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც იკვლევდა მომთაბარე მეცხვარეობის რაციონალიზაციას და, ზოგადად, მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პრობლემებს, ასე გახდა ბატარა გურამი ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლე...

„მან არ იცის კახეთი...“

პროექტი „ჩემი საქართველო აქ არის!“ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი კახეთისაკენ მიემგზავრება... აი, ჩვენი პროფესიონალი მესაქის, დავით ხარაძის, „ხომალდი“ ციფ-გომბორის უღელტეხილს შეუდგა...

...მან არ იცის კახეთი, ვისაც, ციფ-გომბორის ქედზე შემდგარს, არ დაუნახავს ალაზნის ქალიდან ამოვარდნილი ალავერდი! - „გვემეზურობს“ გურამ რჩეულიშვილი, სწორუფორად რომ გარდასახა ქართულ მხატვრულ პროზაში ალავერდი და ალავერდობა. სიამოვნებას ვერ ვფარავთ, რომ ერთხელ კიდევ გვაქვს ბედნიერება, ციფ-გომბორის ქედზე შემდგარნი, გაყვარებულნი „ალაზნის ქალიდან ამოვარდნილი ალავერდს...“

„ღეღე ნახე, მამა ნახე...“

ბრძენი ქართველი ხალხის მიერ გამოცდილება - დავიკრებებზე დაფუძნებულ სიბრძნეს „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე“ - სრულად გაითავისებ, როცა კარგ ქართველს, ბატარ დევედარიანს, მის მაღალ მინაგანს კულტურას, გულლია მასპინძლობას გაეცნობი. თუმცა გასაკვირი არაფერია, რადგან მისი მშობლები - სიკეთით, სიყვარულითა და ადამიანებთან რაინდული ურთიერთობებით გამოჩენილი, სამწუხაროდ, წუთისოფლიდან ადრე წასული კარგი ხარაგაულელი, თემურაზ (თემიკო) დევედარიანი და მისი ასეთივე საუკეთესო თვისებებით მემკვიდრე მუხლზე ნანა მუნაბდე - სხვაგვარ შვილს ვერ გაზრდიდნენ... ბატარ დევედარიანი ძალზე სიტყვაძვირია საკუთარ თავზე საუბრი-



სას, თუმცა მის სათქმელს მისი საქმეები - შრომისა და მოყვასისადმი დიდი სიყვარული - ცხადყოფს. ის თავისი სამკვიდროს, ხარაგაულის, დიდი პატრიოტია, სიკეთით სავსე გულის პატრონი, ქველმოქმედი, მეცენატი, ლიტერატურული თეატრის დიდი მეგობარი, რომელმაც არაერთხელ დააფინანსა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენი თეატრის ტრანსპორტირება.

\*\*\*

უკვე გავიარეთ ქვემო ალვანი, შევდივართ ზემო ალვანში, ვუახლოვდებით ჩვენი მასპინძლის ეზო - კარს... საოცარი გარემო - ნუშისა და კაკლის პლანტაციებით დამშვენებული კახეთის ხევიან - ბარაქიანი მინა, მოპირდაპირედ - ჩვენი დიდებული ისტორიის უტყვი მონძე - ბახტრიონის ციხე...

ცოტა ხანიც და ეზო სპექტაკლით დაინტერესებული მაყურებლებით ავივს. აქ არიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ახმეტისა და თელავის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, ადგილობრივი მოსახლეობა. მაყურებელთა შორისაა ცნობილი გერმანელი მოღვაწე, იზა ვეფხვაძის შემოქმედების დიდი დამფასებელი ქართველთა მეგობარი დოქტორი რუდიგერ ანდრესენი. როგორც ჟურნალისტიკა დავით ქობალიამ აღნიშნა, როცა კახეთში გასამართი სპექტაკლის შესახებ შეიტყო, ის რამდენიმე დღით ადრე ჩამოფრინდა გერმანიიდან, რომ ამ სასიამოვნო წუთებს შეერთვისოდა...

უფროს მაყურებელზე რომ არაფერი ვთქვა, არ შემიძლია, ხაზი არ გავუსვა მოსწავლე - ახალგაზრდობის მოსმენის მაღალ კულტურას. „ზღვამ დაგვანახა მისი სიმაღლე, მისი ლამაზი სიცოცხლის ფასად...“

კომპნია სახლის აივანიდან ჩვეული გრაციითა და მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატობით აცოცხლებს მსახიობი მხოლოდ ოცდაექვს წელში ჩატყული გურამის ულამაზესი ცხოვრების ეპიზოდებს და გვეჩვენება, თითქოს ეს - ესაა ინერტა: „უსახელო უფლისციხელი“ და „ბათარეკა ჭინჭარაული“, „სიკვიდილი მთებში“, „მუხჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ალავერდობა“, „სალამურა“, „ნელი ტანგო“, „მზიანი დღე...“

და თანდათან გვაზაზაბებს მსახიობი 1960 წლის 23 აგვისტოს ტრაგედიასთან შესახებულად, როცა შვიი ზღვის მღელვარე ტალღებში გადაეშვა გურამი მოყვასის გადასარჩენად, როცა

„ზღვამ გამოსტაცა მისი სხეული, საკვირველებით სავსე ცხოვრებას...“

დასრულდა სპექტაკლი და ბოლო არ უჩანდა ამ მშვენიერი წუთებით მოხიბლულ მაყურებელთა სამადლობელს... განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო გამოსვლა იმ ქალბატონისა, რომლის ოჯახშიც, ალვანში, ცხოვრობდნენ რჩეულიშვილები.

ლამარა დევედარიანი: უსაყვარლესი ბიჭუნა იყო გურამი. კეთილი, სწავლაში წარჩინებული, თავაზიანი, ამავე დროს ძალიან ცელქი, მოძრავი, დაუდევარი. მე თითქმის წლით მასზე უმცროსი ვიყავი. მისი თანატოლი იყო ჩემი ძმა - დევედარ დევედარიანი - და ამიტომ უფრო მასთან იყო დამეგობრებული. გურამის უკანა და მარჯვენა იყო ჩემი ბიძა. მთელ სოფელს უყვარდა გურამი და მისი ოჯახი. რა იქნებოდა, განგებას მეტი დღე მიეცა მისთვის, ორმოც წლამდე მაინც მიეღწია... რამდენს შექმნა, ნიჭით რა სიმაღლეებზე ავიდოდა... ერთ დღე გამოვთვალე იმ დიდ ნეტარებას, რაც დღეს განვიცავდით ოთხმოც წელს მივალწი და მსგავსი სიამოვნება არ განმიცდია, მაღლობა

თქვენ და თქვენს თეატრს, ძვირფასო ქალბატონო იზა, გურამ რჩეულიშვილის სსოვნის პატივისცემისა და ჩემთვის აუწერელი სიხარულის მონიჭებისათვის...

„გურამ რჩეულიშვილის სახელობის უკვდავყოფისათვის ბევრი რამ გაკეთდა და უნდა გაკეთდეს კვლავაც - ამბობს ქალბატონი იზა ვეფხვაძე - მოგმართავთ ახმეტის მუნიციპალიტეტის მესვეურებსა და ალვანის სკოლის დირექტორს, ბატონ ოური მრეკლავილს, დააყენოთ განათლების სამინისტროს წინაშე საკითხი, რომ ალვანში იმ სკოლას, რომელშიც სწავლობდა გურამ რჩეულიშვილი მიეკუთვნოს მისი სახელი. ეს, უპირველესად, ჩვენს ახალგაზრდობას სჭირდება პატრიოტული მუხტის გასაძლიერებლად.

ქალბატონ იზას ამ თხოვნას აღვრთოვანებით შეხვდა მაყურებელი.

თქვენ ბახტრიონი „უსისხლოდ“ აიღეთ...

როცა ბატარა სამადლობელი სიტყვა წარმოვთქვი, მაყურებელთაგან ერთი ქალბატონი მომიხსლოვდა და ემოციურად მითხრა: „ყოჩაღ თქვენ, იმერლებო, ხარაგაულელებო, ეს რა თეატრი გქონიათ, ეს რა უნიჭიერესი ქალბატონი გყოლიათ... დღეს თქვენ ნამდვილად „უსისხლოდ“ აიღეთ ბახტრიონის ციხე!..“

„სახელს უშეშეს სახელი...“

სამ - ნახევარი საუკუნე ვაპირებ 1660 წლის კახეთის აჯანყებას - ბახტრიონის გმირულ ეპოპეას...

სპექტაკლის შემდეგ დავაბიჯებთ წინაპართა სისხლით გაპოხილ ბახტრიონის წმინდა მინაზე და თითქმის საუკუნეთა სიღრმიდან ჩავვყვებით ქართველთა ბრძოლის ყიფინა, ჩავგვცემის: ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების, ზაალ არაგვის ერისთავის ომიხიანი შეძახილები... თითქოს ეს - ესაა გვერდით ჩავვიარეს თავისუფლების ცეცხლით გულანათებულმა: ბაში - აჩუკმა, ზეზვა გაფორინდაულმა, ნადირა ხომარაულმა, გოგოლაურმა, სანათამ, კვირიამ, ლელამ, ლუხუმმა, აბულაშვილმა... რომ ისინი გადამთივლით თარეშისაგან ეს ულამაზესი კუთხე, რადგან თათრების ხელში

„მთელი კახეთი ქვეულა ჩიქილამოხდოდა ქალადა...“

ღიბს, მათ აღასრულეს უწმინდესი ვალი და „სახელს უშეშეს სახელი - ძვირფასი საპოვარია!“

\*\*\*

ბოლოს ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა ბატარ დევედარიანმა საგანგებო სუფრასთან ისევ და ისევ მოგვხიბლა კახურ ადათთან შესაბამისი იმერული სტუმართმოყვარეობის ლაზათით...

მზამს, ეს ოცნებას აუსრულდება...

დავემშვიდობებთ ულამაზეს კახეთს და მოვემგზავრებით ხარაგაულსაკენ. შევნიშნე, რომ იზა ფიქრებმა გაიტაცა, სევდამ მოიკცა ნამიერად, შემდეგ კვლავ ნათელი გადაეფინა სახეზე. მომიბრუნდა და მითხრა: - კახეთზე ოცნება კი ავისრულე, მაგრამ ბახტრიონიდან კვლავ ტკივილი და რაღაც უკმარისობის გრძობა გამომეყვა, ჩემი ფიქრები უფრო შორს წავიდა... საქართველო ხომ ისევ „მკერდმოჭრილი ამორძალია“, მაგრამ მზამს, რომ უფლის მენეჯენითა და ხალხთა შორის ჯანსაღი ურთიერთობით განიკურნება სულის ჭრილობა, აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ ისტორიულ შიდა ქართლში, იკორთაში, ბახტრიონის გმირების - ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარ და შალვა ერისთავების - მარადიულ სავანეს „ვანეთო“, სპექტაკლით გურამ რჩეულიშვილი...

ნატრის ასრულებას გისურვებ, მამულის ბედნიერებისათვის დიდ პატრიოტულ საქმეებთან შეჭიდებულყო, ძვირფასო ქალბატონო! ამინ. გვიმინოს უფალმა!

მერი გიორგიძე

საერებულის ხეობაზე საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის ცვლილებათა და ეკონომიკით იმხვეცხ



5 ნოემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმაში დასამატებლად ბერაძემ აუდიტის მიერ შეფასებული მუნიციპალიტეტის მერიის რიცხულ ბაღებსა და არსებული შემდეგი უძრავი - მოძრავი ქონება წარადგინა: სოფელ თეთრანყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი, რომელიც 8200 ლარადაა შეფასებული; დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N105-ში, მდებარე 6579 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 394,56 კვ.მ (ღირებულება 66000 ლარი) და სოფელ სალანდილის ტერიტორიაზე არსებული 286 მეტრი სიგრძის რკინის მილები (ღირებულება 10 ათასი ლარი).

სხდომაზე იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

მერიც ღაზის ტერიტორიაზე სანიტარულ ზონის მოწესრიგებას ითხოვს



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურების თანამშრომლებმა ძირულა-ხარაგაული-მოლოთის დამაკავშირებელი გზის შედამხდველი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე სანიტარულ ზონებში დაათვალიერეს. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნული შიდა-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 25 კმ-იანი გზის მშენებლობა უკვე დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რეაბილიტაციის პარალელურად, დაბის ტერიტორიაზე სანიტარულ ზონებში არსებულ მოწყობა და ამის შესახებ ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილობით მიმართა. თავის მხრივ, ნერილობით მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტრომ, საკითხის შესწავლის მიზნით, გზის მშენებლობის შედამხდველ კომპანიას მიმართა, რომელთა წარმომადგენლებმაც, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად, ადგილზე შეისწავლეს არსებული მდგომარეობა. დაათვალიერეს ასევე მდინარე ჯიხ-

თამარ მბარაძე

ხარაგაულში საიტის „izrune.ge-ის“ პრეზენტაცია გაიმართა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საიტის „izrune.ge“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონის“ ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყემელაშვილმა წარმოადგინა. შეხვედრას ბაღდათი - ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ადგილობრივი ხელი-სუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



აქვე დააანონსა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მასწავლებელთა ხელფასების ზრდა. პარლამენტარმა სკოლების

ინფრასტრუქტურაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეაბილიტაციას საჭიროებს დაბის N3 და ნადაბურის საჯარო სკოლები. მისივე ინფორმაციით, 2019 წელს კიცხში ახალი სკოლის შენობა აიგება, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მზრუნველი გარემო. პედაგოგების შრომა უნდა იყოს დაფასებული და ამისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული. - განმარტა კობა ლურსმანაშვილი.

ხელშეწყობის ერთ-ერთი საფუძველია. მისი თქმით, საიტი სამუალებს აძლევს მშობელს, იზრუნოს შვილის გონებრივ განვითარებაზე და ერთობლივად გააკეთონ საჯარჯიმოები. აღსანიშნავია, რომ ყოველი თვის ბოლო კვირა დღეს მოსწავლესა და მშობელს საშუალება აქვთ, სრულიად ახალი ტესტირება ჩააბარონ.

გოჩა ტყემელაშვილი შეხვედრის დასარულს პროგრამით მოსარგებლე სკოლების დირექტორებს იმ მოსწავლეთა სიგელები გადასცა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს „izrune.ge-ის“ ტესტირება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში წარჩინებულ მოსწავდეებს ეპტოპები გადაეცათ



დაჯილდოების ცერემონიას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე ესწრებოდა, რომელმაც მოსწავდეებს შემდგომში წარმატებები უსურვა.

გთავაზობთ ხარაგაულელ 12 წარჩინებულ მოსწავდეს სიას:

N2 საჯარო სკოლა - გრიგოლ ხიჯაძე, გიორგი სებისკვერიაძე;

N3 საჯარო სკოლა - ანა მასიურაძე, ანა მეთვარაძე, ვაჟა მალაქაძე; ბორის საჯარო სკოლა - მარიამ გიორგაძე; ვარძიის საჯარო სკოლა - მარიამ ხიჯაძე, მარიამ ნიჭაძე; მარეღისის საჯარო სკოლა - ნონა ყიფიანი; ბორის საჯარო სკოლა - ბერიკა მაჩაიძე; ხუნდვის საჯარო სკოლა - გოჩა ლომიძე; ლაშის საჯარო სკოლა - სალომე კვიციანიძე.

თამარ მაღრაძე

შემოდგომა ხარაგაულში

პირველი საბავშვო ბაღის საშემოდგომო პრეზენტაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველი საბავშვო ბაღის აღმშენებლის მიერ დადგმული ცეკვები და საბავშვო სიმღერები. ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელები, საინტერესო სანახაობით - თათარის მოდულიტებითა და ჩურჩხილების ამოვლებით დასრულდა, რომლებშიც ჩართული იყვნენ პატარები მშობლებთან და აღმზრდელებთან ერთად. ეს ყველაფერი უსაზღვრო სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებდა მათ.

წინდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავდეებმა შემოდგომა ზეიმით გააძიეს

„შემოდგომის ზეიმი“ გაიმართა ხარაგაულის გიმნაზიაში. სკოლის ეზო შემოდგომის ნახაობითა და მოსწავდეებთან ერთად იყო მოწყობილი.

ხარაგაულში ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა ჯიხურის „შემოდგომის პეიტინგ“ ჩატარდა

„შემოდგომის პალატა“ ასე ეწოდებოდა მხატვართა კონკურსს, რომელიც „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ 2 ნოემბერს გაიმართა. კონკურსი ამავე ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.



ზეიმზე საგალობლები და ქართული ხალხური სიმღერები შესრულდა გიმნაზიის გოგონათა გუნდმა (ხელმძღვანელი, თორნიკე ბაკურაძე). აღსაზრდელებმა დამსწრენი მოხიბლეს შთამბეჭდავად წაითხული ლექსებითა და ცეცხლოვანი ტრადიციული ცეკვებით. ძალზე სასიამოვნო იყო მოსმენა პედაგოგთა (თორნიკე ბაკურაძე, ზეინაბ ბუაჩიძე, ლაურა მანაგაძე, დალი ხარატიშვილი) მიერ შესრულებული საგალობლებისა.

პედაგოგმა ზეინაბ ბუაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო გიმნაზიის მოსწავლეთა წარმატებები, რომლებიც სხვადასხვა ოლიმპიადასა და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში მონაწილეობით დაიმსახურეს.

შემოდგომის ზეიმს ესწრებოდა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მეუფე მელქისედეკი (ხაჩიძე) ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად.

მეუფე მელქისედეკმა დალოცა გიმნაზიის პედაგოგები, მოსწავდეები, მშობლები და მომავალ თაობას თავისუფალ და ძლიერ საქართველოში ცხოვრება უსურვა.



სურათების გამოყენება და გამარჯვებულია დაჯილდოება კინოთეატრის ფილმში 12 ნოემბერს 14 საათზე გაიმართა. გამარჯვებულს ფასიანი საჩუქრები გადაეცემოდა. „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის, გრიგოლ ჭიპაშვილის თქმით, ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურსი ყოველწლიურად გაიმართება. ბატონი გრიგოლი სამომავლოდ ასევე არაერთ საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

თამარ მაღრაძე

სპორტული სიასლეაუი

„სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ ჩატარდა სკოლების შორის მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში (ვაჟებს შორის). ტურნირში მონაწილეობდნენ დაბის N2, N3, ვერტყვიჭალის, ხევის, ნადაბურისა და ბორის საჯარო სკოლების გუნდები. საბოლოოდ, გამარჯვება დაბის N3 საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილზე ხევის საჯარო სკოლა გავიდა.

სახურია (უფროსი ირინე ჩხეიძე), ხოლო მხარდამჭერი - ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“ (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი).

სასიხარულოა ხარაგაულელი ძიუდოსტის, ზურაბ ლომიძის (მწვრთნელი სოსო ხაჩიძე), წარმატება. სპორტსმენმა ქ.გორში ჩატარებულ სახელოვანი ქართველი მოჭიდავისა და მწვრთნელის ანზორ ქიბრაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირი 2002-2003 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის ძიუდოში ჩატარდა.

ბაღდათში გიორგი ბოგდანოვისა და გურამ გობეჯიშვილის სახელობის IV რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. მასში საქართველოსა და აზერბაიჯანის სპორტსმენებთან ერთად ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი 47 კგ წონით კატეგორიაში ხარაგაულელმა ვახო ნიჭაძემ (მწვრთნელი რევაზ მერგულაშვილი) დაიკავა. გამარჯვებულები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სალანძილემი გელა კიკნაძის სახელობის დოლი გაიმართა

სალანძილემი გელა კიკნაძის სახელობის დოლი გაიმართა, რომელიც ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივითა და სალანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატის დავით კიკნაძის მხარდაჭერით განხორციელდა. დოლში სამკილომეტრიან დისტანციაზე პირველობისათვის ერთმანეთს 14 ცხენოსანი ეჯიბრებოდა.



როგორც ჩვენთან საუბარში სალანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე აცხადებს, 1996 წლიდან მისივე ორგანიზებით ტარდებოდა გელა კიკნაძის სახელობის ტურნირი ფეხბურთსა და ჭიდაობაში. მისივე თქმით, ტურნირის მიზანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ცხენოსნობის განვითარებაა.

შეგახსენებთ, გელა კიკნაძე იყო სალანძილელი, რომელმაც მოსკოვში დაამთავრა უშიშროების აკადემია და მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 1992 წლის 26 მაისს დაიღუპა. იგი ასევე გახლდათ სპორტსმენი, ჭიდაობაში საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი.

თამარ მაღრაძე

დიდ მეცნიერსა და ჩვენს თანამემამულეს მიეძღვნა

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა (დირექტორი მარინე ხვედელიძე) ჩვენი თანამემამულე დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის, სახელს ატარებს. ვფიქრობ, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობის გრძობით ჩავერთო მასწავლებელმა დალი ლურსმანაშვილმა „სასკოლო აქტივობების“ პროექტში ინტელექტუალური მიმართულებით „რა? სად? როდის?“ ამჯერად იგი მიეძღვნა დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის, დაბადების თარიღს - 31 ოქტომბერს. მიზანი: ვინ იცნობდა უკეთესად ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ცხოვრებას. დაკომპლექტდა ორი ჯგუფი 12 მოსწავლით: I ჯგუფი: გიორგი ციციშვილი, თამარ ტალახაძე, გურამ ლურსმანაშვილი, ანასტასია ხარაძე, ნიკოლოზ მეთვარაძე, ლუკა ლონდაძე; II ჯგუფი: გიორგი ბერაძე, ლიზი კურტანიძე, რეზო კურტანიძე, ქეთი ლაცაბიძე, მარიამ ნიშნიანიძე, გიორგი ვარდოსანიძე.



ძალზე საინტერესო კითხვები ჰქონდა შედგენილი დალი მასწავლებელს. პასუხების შედეგად ორივე ჯგუფმა თანაბარი ქულები მოიპოვა. ამ აქტივობით კიდევ უფრო ამაღლდა ჩვენი მოტივაცია. ვცდებით, უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავითავისოთ დიდი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები.

გურამ ლურსმანაშვილი აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე